



## რეფერენდუმი ერაყის ქურთისტანში - ახალი გამოწვევა ახლო აღმოსავლეთისათვის

გიორგი სანიკიძე<sup>1</sup>

25 სექტემბერს ერაყის ქურთისტანში შედგა არაერთგზის გადადებული რეფერენდუმი. ბიულეტენებში ერთადერთი კითხვა იყო შეტანილი: „გსურთ თუ არა, რომ ქურთისტანის რეგიონი და ქურთისტანის ის ადგილები, რომლებიც რეგიონის საზღვრებს გარეთაა, გახდეს დამოუკიდებელი სახელმწიფო?“ რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო ქურთისტანის რეგიონისა და მისი მთავრობის მიერ კონტროლირებადი მიმდებარე ტერიტორიების მოსახლეობის დაახლ. 72%-მა. რეფერენდუმში მონაწილეთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ (86%) მხარი დაუჭირა ქურთისტანის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას. აქვე ხაზგასასმელია, რომ რეფერენდუმზე დამოუკიდებლობის მხარდაჭერა სულაც არ ნიშნავს ავტომატურად დამოუკიდებლობის გამოცხადებას - რეფერენდუმის განაწესის მიხედვით, ერაყის ქურთისტანის ხელმძღვანელობას ეს უფლებას აძლევს მის შედეგებზე დაყრდნობით მომავალში გამოაცხადოს დამოუკიდებელი ქურთული სახელმწიფოს შექმნა. ერაყის ქურთისტანის ლიდერებიც ხაზს უსვამენ, რომ არ აპირებენ დამოუკიდებლობის დაუყოვნებლივ გამოცხადებას. ისინი რეფერენდუმის შედეგებს განიხილავენ, როგორც მანდატს მოლაპარაკებების დაწყებისათვის ქურთული სახელმწიფოს შექმნის შესახებ ერაყის მთავრობასა და მეზობელ სახელმწიფოებთან.

<sup>1</sup> გიორგი სანიკიძე, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ზემოთქმულის მიუხედავად, საკუთრივ რეფერენდუმის ჩატარებამ უკვე წარმოაჩინა არაერთი პრობლემური საკითხი: ქურთისტანის ჰიპოთეტური სახელმწიფოს ტერიტორიული საზღვრები; რეგიონის ქვეყნების დამოკიდებულება ერაყის დაშლის მიმართ; დასავლეთის პოზიცია ქურთული სახელმწიფოს შექმნის პრობლემისადმი; ქურთებისა და რელიგიურ-ეროვნული უმცირესობების (უპირველეს ყოვლისა, იეზიდების) ურთიერთობის საკითხი; დაბოლოს, რა გავლენას მოახდენს ახალი სახელმწიფოს შექმნა რეგიონსა და მიმდებარე ქვეყნებზე (მათ შორის, საქართველოზე).

ქურთები ახლო აღმოსავლეთში ცხოვრობენ სირიის, ერაყის, ირანისა და თურქეთის (აქ მათი ყველაზე მრავალრიცხოვანი თემია) ტერიტორიებზე. მათი საერთო რიცხვი, სხვადასხვა მონაცემებით, ვარირებს 25-დან 40 მილიონამდე. ქურთების აბსოლუტური უმრავლესობა მუსლიმია, თუმცა არსებობს რელიგიური უმცირესობაც იეზიდების სახით (სწორედ რელიგიიდან გამომდინარე, მიღებულია მათთვის იეზიდების და არა ქურთების წოდება).

ქურთების სწრაფვას დამოუკიდებლობისაკენ ხანგრძლივი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ I მსოფლიო ომის შემდეგ, სევრის ხელშეკრულებით გადაწყდა დაშლილი ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზე ქურთული ავტონომიის შექმნა მომავალში სახელმწიფოს შექმნის პერსპექტივით (ეს ავტონომია ძირითადად მოიცავდა თანამედროვე თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს). თუმცა, ეს იდეა განუხორციელებელი დარჩა.

ქურთები დღეს შეადგენენ ერაყის 37 მილიონიანი მოსახლეობის დაახლოებით 15-20%-ს და განსახლებული არიან ქვეყნის ჩრდილოეთში.

ერაყის ქურთების სწრაფვას დამოუკიდებლობისაკენ ხანგრძლივი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ 1946 წელს შეიქმნა ქურთისტანის დემოკრატიული პარტია (ქდპ). პარტიაში თავიდანავე არ იყო ერთიანობა. ერთ მხარეს იდგა მოლა მუსტაფა ბარზანი (რეგიონის ამჟამინდელი პრეზიდენტის, მასუდ ბარზანის, მამა), რომელსაც ტომები უჭერდნენ მხარს, ხოლო მეორე მხარეს - იბრაჰიმ აჰმადის და ჯალალ ტალაბანის (ეს უკანასკნელი ერაყის პრეზიდენტი იყო 2005-2014 წლებში) მემარცხენე ფრთა, რომელიც ძირითადად ურბანულ ფენებს ეყრდნობოდა. მოგვიანებით ტალაბანის მომხრეები გაერთიანდნენ ქურთისტანის პატრიოტულ კავშირში (ქპკ), რომელიც ქურთისტანის დემოკრატიულ პარტიასთან ერთად, დღეს ქურთისტანის მთავარ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენს. ორ პარტიას შორის არსებული წინააღმდეგობა ხანგრძლივი დროის მანძილზე უშლიდა ხელს ქურთებს დამოუკიდებლობის მიღწევის ერთიანი პოლიტიკის შემუშავებაში. თუმცა, ბოლო ხანებში ეს წინააღმდეგობები გადაილახა, უკანა პლანზე გადავიდა ბარზანისა და ტალაბანის შორის არსებული დაპირისპირებაც. აღსანიშნავია, რომ ჯალალ ტალაბანი რეფერენდუმის ჩატარების შემდეგ სულ მალე (3 ოქტომბერს) გარდაიცვალა, ბარზანიმ და ქდპ-მ კი სათანადო პატივი მიაგო მის ღვაწლსა და ხსოვნას.

ქურთები განსაკუთრებულ დისკრიმინაციას განიცდიდნენ სადამ ჰუსეინის მმართველობის პერიოდში. თუმცა, სპარსეთის ყურის პირველი ომის შემდეგ (1990-91), რეგიონი ბაღდადის ხელისუფლებისათვის პრაქტიკულად ხელმიუწვდომელი გახდა. ქურთისტანის დამოუკიდებლობის ხარისხი კიდევ უფრო გაიზარდა ერაყში საერთაშორისო ინტერვენციისა და სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობის შემდეგ (2003). ამ პერიოდიდან მოყოლებული, რეგიონმა დამოუკიდებელი სახელმწიფოს გარკვეული ნიშნებიც კი შეიძინა (მიღებული ტერმინი - ნახევრადავტონომიური არ შეესაბამება ქურთისტანის პრაქტიკულად სრული ავტონომიურობის ხარისხს). რეგიონის დედაქალაქ ერბილში გაიხსნა სხვადასხვა ქვეყნების დიპლომატიური წარმომადგენლობები, გაძლიერდა რეგიონის საერთაშორისო კავშირებიც (მაგალითად, გარკვეული დროის მანძილზე სრულდებოდა პირდაპირი ავიარეისი - თბილისი-ერბილი). მეტიც, მალე რეგიონის ხელმძღვანელობამ საკუთარ კონტროლს დაუქვემდებარა მიმდებარე ტერიტორიებიც (მათ შორის, ენერგომატარებლებით მდიდარი კირკუკი). ქურთები დასავლეთის უპირობო მოკავშირეებად გადაიქცნენ. ქურთული სამხედრო შენაერთი - ფემმერგა კი ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური ძალა გამოდგა „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ბრძოლაში.

რეგიონის ამგვარი ფაქტობრივი დამოუკიდებლობის პირობებში, ბუნებრივია, ერაყის ცენტრალური ხელისუფლება ეძიებდა ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნების გზებს. ალბათ, ამ მიზანს ემსახურებოდა ჯალალ ტალაბანის პრეზიდენტად არჩევაც. იყო ასიმეტრიული ფედერალიზმის შექმნის იდეაც<sup>2</sup>, თუმცა ქურთისტანისთვის ამგვარი მიდგომის მისადაგებაც რთული აღმოჩნდა.

ქურთისტანში დამოუკიდებლობის შესახებ რეფერენდუმის ჩატარება არაერთხელ დაიგეგმა, თუმცა ამის განხორციელებას ხელს უშლიდა როგორც გარე, ისე შინა ფაქტორები. შინაგანი წინააღმდეგობების გადალახვის შემდეგ კი, საბოლოოდ წელს მოხერხდა ამ რეფერენდუმის ჩატარება.

---

<sup>2</sup> ob. Sean Kane, Joost R. Hiltermann and Raad Alkadiri. Iraq's Federalism Quandary. *The National Interest*, No. 118 (March/April 2012), pp. 20-30.



წყარო: Aljazeera.com

რეფერენდუმისა და ახალი სახელმწიფოს შექმნის მიმართ როგორც ერაყის ცენტრალური ხელისუფლების, ისე რეგიონის ქვეყნების განწყობა მკვეთრად უარყოფითია (ისრაელის გამოკლებით). ერაყის პრემიერმა, ჰაიდარ აბადიმ, რეფერენდუმს არაკანონიერი და არაკონსტიტუციური უწოდა, რასაც მხარი დაუჭირა ერაყის პარლამენტმაც. პრემიერმა არ გამორიცხა სამხედრო ჩარევაც კი. ფორმალურად, ამის მიზეზი შეიძლება გახდეს „ისლამური სახელმწიფოს“ გარკვეული მცირე ნაშთების არსებობა ქურთისტანის ტერიტორიაზე, მაგრამ უპირველესია კირკუკის საკითხი (პარლამენტმა კირკუკის ქურთი მერის გადაყენებაც კი მოითხოვა).

კირკუკის კონტროლი, სადაც ერაყის ნავთობისა და ბუნებრივი აირის რესურსების 10%-ია, განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია აქ მცხოვრები სამი ეთნიკური ჯგუფისთვის - ქურთებისთვის, არაბებისა და თურქმენებისთვის, მაგრამ გამორჩეულად ქურთებისთვის, რომლებიც მას საკუთარ იერუსალიმად აღიქვამენ.<sup>3</sup> ერაყის 2005 წლის კონსტიტუციის მიხედვით ქვეყნის გარკვეული ნაწილის ამა თუ იმ რეგიონისადმი კუთვნილება რეფერენდუმის გზით უნდა გადაწყდეს. არაბული და თურქმენული მოსახლეობის შემცირების, ხოლო ქურთული მოსახლეობის გაზრდის პირობებში, ამგვარი

<sup>3</sup> Stefan Wolff. Governing (in) Kirkuk: resolving the status of a disputed territory in post-American Iraq. *International Affairs*, Vol. 86, No. 6, Post-American Iraq (November 2010), pp. 1361-1379, p. 1361.

რეფერენდუმის შედეგი კირკუკისათვის ნათელია. თუმცა, ჰიდროკარბონატების შესახებ ერაყის ფედერალური კანონი სტატუსის შეცვლას შეუძლებლად აქცევს.<sup>4</sup>

ბუნებრივია, ენერგორესურსების კონტროლი უმნიშვნელოვანესია ერაყის ქურთისტანისთვის, მაგრამ ცენტრალურ ხელისუფლებასთან კონფლიქტი არ შეიძლება მხოლოდ ეკონომიკურ ფაქტორზე დავიყვანოთ. მისი მთავარი მიზეზია „ქურთების მეხსიერებაში ღრმად აღბეჭდილი ისტორიული უსამართლობის გრძნობა და მათი მისწრაფება დამოუკიდებლობისაკენ“<sup>5</sup>

„არაბული ქვეყნების ლიგამ“ მკაცრად დაგმო რეფერენდუმის ჩატარება. არაბული სამყაროსათვის მიუღებელია „არაბული“ ერაყის დაშლა, რაც პერსპექტივაში, შესაძლოა, გახდეს რეგიონის სხვა (ჯერ კიდევ მშვიდ) არაბულ ქვეყნებში ეთნიკურ-რელიგიური უმცირესობების „გამოღვიძების“ ხელშემწყობი.

ერთადერთი ქვეყანა, რომელიც უპირობოდ უჭერს მხარს ქურთისტანის დამოუკიდებლობას და ოფიციალურად აღიარებს რეფერენდუმის შედეგებს - ისრაელია. ბუნებრივია, ისრაელის ინტერესებში შედის მასთან დაპირისპირებული ისლამური სამყაროსათვის ახალი პრობლემის გაჩენა.

საკმაოდ თავშეკავებულია დასავლეთის, უპირველესად კი აშშ-ის პოზიცია. სახელმწიფო დეპარტამენტმა მწუხარება გამოთქვა ერაყის ქურთისტანის ხელმძღვანელობის მიერ რეფერენდუმის ჩატარების გადაწყვეტილების გამო. ამასთანავე, ხაზგასმული იყო, რომ ეს ვერ შეცვლის „ისტორიულად ჩამოყალიბებულ ურთიერთობებს“. აქვე აღსანიშნავია, რომ აშშ და დასავლეთი ეწინააღმდეგებოდა ქურთების მიერ კირკუკისა და სხვა სადავო რეგიონების ანექსიას.<sup>6</sup>

განსაკუთრებულად საყურადღებოა თურქეთის დამოკიდებულება როგორც რეფერენდუმისადმი, ისე ზოგადად ქურთული სახელმწიფოს შექმნის პერსპექტივისადმი. მე-20 საუკუნის 80-90-იანი წლებიდან მოყოლებული, თურქეთს საკმაოდ მჭიდრო, ერთი შეხედვით, პარადოქსული ურთიერთობაც კი აქვს ერაყელ ქურთებთან. გასულ წლებში

---

<sup>4</sup> ნავთობისა და ბუნებრივი აირის ერაყის 2011 წელს მიღებული კანონის მიხედვით, ნავთობიდან და ბუნებრივი აირიდან მიღებული შემოსავალი უნდა იმსახურებოდეს მთლიანად ერაყელი ხალხის და არა ცალკეული რეგიონების კეთილდღეობას. სარეწების კერძო კომპანიებისთვის გადაცემა შეიძლება მოხდეს მხოლოდ ერაყის მინისტრთა კაბინეტთან შეთანხმებით. კანონის შესახებ დაწვრილებით იხ.: <http://law.kingston.ac.uk/sites/default/files/federaloil.pdf>

<sup>5</sup> Wladimir van Wilgenburg. Breaking from Baghdad: Kurdish Autonomy vs. Maliki's Manipulation. *World Affairs*, Vol. 175, No. 4 (November/December 2012), pp. 47-53, p. 47.

<sup>6</sup> Ibid. p. 49.

თურქეთის ხელისუფლებას არაერთხელ უცდია ერაყის ქურთების გამოყენება საკუთარი ქურთების სეპარატისტული მოძრაობის წინააღმდეგ. ერაყის ქურთისტანის ლიდერები არაერთხელ გამოსულან თურქეთის ხელისუფლებასთან მეზობლი სეპარატისტული ქურთისტანის მუშათა პარტიის (ქმპ) საწინააღმდეგო განცხადებებით. ერბილმა თურქეთს საკუთარ ტერიტორიაზე სამხედრო ბაზების განთავსების უფლებაც კი მისცა.

ჯერ კიდევ 1992 წელს ანკარამ ერაყის ქურთ ლიდერებზე ზეგავლენა იმისთვისაც კი გამოეყენებინა, რომ აეძულებინა ერაყის ქურთული ძალები მონაწილეობა მიეღოთ ქმპ-ს წინააღმდეგ ფართომასშტაბიან სამხედრო ოპერაციაში.<sup>7</sup>

ეკონომიკური ურთიერთობების თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ერაყის ქურთისტანისა და თურქეთის დამაკავშირებელ ნავთობსადენს.

მასუდ ბარზანი ქურთისტანის რეგიონის პრეზიდენტი 2005 წელს გახდა და თურქეთთან ურთიერთობები კიდევ უფრო დათბა. ქურთისტანიდან ენერგომატარებლების ექსპორტი კიდევ უფრო გაიზარდა. გაგრძელდა და გარღმავდა თანამშრომლობა ქმპ-ს წინააღმდეგ.

თუმცა, დღეს თურქეთის ხელმძღვანელობა უკიდურესად უარყოფითად აფასებს როგორც რეფერენდუმს, ისე დამოუკიდებელი ქურთისტანის სახელმწიფოს შექმნის პერსპექტივას. მიზეზი მარტივია - მსგავსი პრეცედენტი გარკვეულ სტიმულს შეუქმნის თურქეთის (გაცილებით უფრო მრავალრიცხოვან) ქურთებს და კიდევ უფრო გააღვივებს მათ სეპარატისტულ განწყობებს.



წყარო: The Economist

<sup>7</sup> David McDowal. *A Modern History of the Kurds*. Third Revised Edition. I.B. Tauris, 2005, p. 384.

კირკუკის საკითხი ასევე შემაშფოთებელია თურქეთისთვის, რომელიც შიშობს, რომ ქურთების მიერ კირკუკის რეგიონის ანექსია გააღვივებს სეპარატიზმს როგორც ერაყში, ისე მთელ რეგიონში თურქეთის ჩათვლით.<sup>8</sup>

თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჩავუშოლლუმ განაცხადა, რომ „ჩვენ ერაყის ტერიტორიულ მთლიანობას მხოლოდ სიტყვით არ ვუჭერთ მხარს. და თუ ერაყის ხელისუფლება მოგვმართავს, ჩვენ მხარს დავუჭერთ ქვეყნის მთლიანობის დაცვისკენ მიმართულ ძალისხმევას.“ თავის მხრივ, რეფერენდუმის წინ პრეზიდენტმა ერდოღანმა მოუწოდა ბარზანის, უარი ეთქვა ამ „ავანტიურაზე“. გაისმა ასევე ერაყის ქურთისტანის თურქეთთან დამაკავშირებელი ნავთობსადენის გადაკეტვის მუქარაც. თურქეთთან ურთიერთობების გაწყვეტა კი ერაყის ქურთისტანს უზარმაზარ ეკონომიკურ ზარალს მოუტანს (მხოლოდ 2017 წლის პირველი ნახევრის მონაცემებით, ვაჭრობის მოცულობამ თურქეთთან 5 მლრდ. აშშ დოლარს გადააჭარბა).

ამ მხრივ, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს თურქეთის ქურთების დამოკიდებულება აღნიშნული რეფერენდუმისადმი.

თურქეთის ქურთების ნაწილი მიესალმა ამ რეფერენდუმს, მაგრამ წამყვანი პოლიტიკური ძალის - ქურთისტანის მუშათა პარტიის დამოკიდებულება საერთო ჯამში უარყოფითია (თუმცა, პარტიის რამდენიმე წევრმა რეფერენდუმი დადებითად შეაფასა). ქმპ რეფერენდუმს მასულ ბარზანის მიერ ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით წამოწყებულ პოლიტიკურ თამაშს უწოდებს და მხარს უჭერს „დემოკრატიულ ავტონომიას“<sup>9</sup> ერაყის ქურთისტანში.

ქმპ-ს უარყოფით დამოკიდებულებას ერაყის ქურთების მიმართ თავისი მიზეზები აქვს. ზემოთ უკვე იყო ნახსენები დაპარისპირება გასული საუკუნის 90-იან წლებში. 2014 წელს ფერშმერგას 7 ათასმა მებრძოლმა დატოვა სინჯარის პროვინცია და პრაქტიკულად გაწირა იეზიდები „ისლამური სახელმწიფოს“ შეიარაღებული ძალების მოძალეების პირობებში. ქმპ-ს შეიარაღებულმა ფრთამ, ხალხის დაცვის ძალებმა კი ბრძოლებით შეძლეს იეზიდთა გახიზნვა სინჯარის მთებში. შედეგად - ქმპ-ს პოპულარობა უზომოდ გაიზარდა. შემდგომ კი ქდპ-მ ფერშმერგას ძალები სირიიდან სინჯარში გამოსროლა, რამაც კიდევ უფრო დაძაბა ქდპ-სა და ქმპ-ს შორის ურთიერთობა. ქდპ-მ ასევე გაამართლა თურქული საჰაერო შეტევები შემდეგი

<sup>8</sup> თურქეთის დამოკიდებულების შესახებ კირკუკის რეგიონისადმი, იხ. მაგ. Bülent Aras, 'Turkey, northern Iraq and Kirkuk', *Foreign Policy Bulletin* 5, 2007, pp. 6-9; Robert Olson, 'Turkey's policies toward Kurdistan- Iraq and Iraq: nationalism, capitalism, and state formation', *Mediterranean Quarterly* 17: 1, 2006, pp. 48-72.

<sup>9</sup> <http://www.bbc.com/russian/features-41389179> (Retrieved 10/03/2017).

მოსაზრებიდან გამომდინარე: „ამ შეტევების მთავარი მიზეზი რეგიონში ქმპ-ს ყოფნაა. ქმპ რაც შეიძლება მალე უნდა გავიდეს რეგიონიდან.“<sup>10</sup>

ყურადღებას იმსახურებს იეზიდების საკითხიც. ისტორიულად იეზიდებსა და მუსლიმ ქურთებს შორის საკმაოდ მძაფრი დაპირისპირება არსებობდა და ამგვარი ვითარება შენარჩუნდა უკანასკნელ ხანებამდე (ზემოთ მოყვანილი სინჯარის მაგალითი ამის დასტურია). თუმცა, დღეს იეზიდებმა მხარი დაუჭირეს რეფერენდუმსა და დამოუკიდებელი ქურთული სახელმწიფოს შექმნას. იეზიდთა უზენაესმა ლიდერმა მირ თაჰსინ ბეგმა ქურთისტანის რეგიონსა და მის გარეთ მცხოვრებ იეზიდებს მოუწოდა, მონაწილეობა მიეღოთ რეფერენდუმში და მხარი დაეჭირათ ქურთისტანის დამოუკიდებლობისათვის.<sup>11</sup> აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოს იეზიდების აბსოლუტური უმრავლესობაც ემხრობა ქურთისტანის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას.<sup>12</sup>

გასათვალისწინებელია ასევე ირანის ფაქტორიც, რომელიც კატეგორიულად ეწინააღმდეგება ერაყის დაშლისა და დამოუკიდებელი ქურთული სახელმწიფოს შექმნის პერსპექტივას. თურქეთისაგან განსხვავებით, ირანის ქურთული მოსახლეობა არ მიისწრაფვის დამოუკიდებლობისაკენ, თუმცა ცენტრალურ ხელისუფლებას პრობლემები აქვს ქურთებთან მიმართებაში და მათ არაერთხელ გამოუმყდავებიათ ავტონომიისადმი მისწრაფებები. ირანის ხელმძღვანელობამ უკვე დააფიქსირა, რომ ყოველმხრივ დახმარებას აღმოუჩენს ბაღდადს ერაყის ერთიანობის შენარჩუნების საქმეში. თურქეთი და ირანიც შეთანხმდნენ შექმნილ ვითარებაში ერთობლივი მოქმედებების შესახებ.

დაბოლოს, რა პრობლემები შეუძლება შეუქმნას საქართველოს ახალი პოლიტიკური ერთეულის შექმნამ სამეზობლოში? საქართველოს სეპარატისტული რეგიონებისათვის, თითქოს, ეს სასურველი მოვლენა უნდა იყოს, მაგრამ ამასთანავე ერაყის ქურთისტანის შემთხვევა სრულიად სხვა განზომილებაშია - საქმე ეხება რეგიონს, რომელიც ეკონომიკური თვალსაზრისით საკმაოდ მძლავრია, პოლიტიკური თვალსაზრისით კი, პრაქტიკულად, მოწყვეტილია ცენტრს. გარდა ამისა, აქვს დასავლეთის მხარდაჭერა. ანგარიშგასაწევია ასევე რუსეთის პოზიცია - მიუხედავად იმისა, რომ დღეს კრემლი უარყოფითად აფასებს რეფერენდუმის ჩატარებას, მომავალში, ქურთისტანის სახელმწიფოს შექმნის გამოცხადების შემთხვევაში, რუსეთმა ეს საკუთარი მიზნებისათვის - რეგიონის ქვეყნებისა და დასავლეთის შანტაჟირებისათვის, აგრეთვე საქართველოს სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარების გასამართლებლად გამოიყენოს. თავისთავად ქურთისტანის

<sup>10</sup> <http://www.al-monitor.com/pulse/originals/2017/05/turkey-iraq-sinjar-what-is-happening-in-yazidi-land.html#ixzz4uMk5zFYF> (Retrieved 10/03/2017).

<sup>11</sup> <http://www.kurdistan24.net/en/news/1b45a06a-be64-47ab-a870-a75b10276cca> (Retrieved 10/03/2017).

<sup>12</sup> საქართველოს იეზიდების შესახებ იხ. Керим Амоев. *Езиды и их религия*. Тбилиси: Некери, 2016.



რეგიონის ფარგლებში სახელმწიფოს გამოცხადება იმ თვალსაზრისით შეიძენს საქართველოსთვის უარყოფით კონტექსტს, თუკი დამოუკიდებლობის გამოცხადებას მოყვება ცენტრალური ხელისუფლებისა და მეზობელი ქვეყნების ხისტი რეაქცია (სამხედრო ჩარევის ჩათვლით). ეს კი სავსებით რეალურია. გარდა ამისა, კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას შეიძენს (და მეტი წინააღმდეგობაც მოყვება) „დამოუკიდებელი“ ქურთისტანის სახელმწიფოში იმ ტერიტორიების შეყვანას (უპირველესად კირკუკის), რომლებიც რეგიონის საზღვრებს გარეთაა და რომლებსაც დღეს ქურთები აკონტროლებენ. განსაკუთრებით შემოფოთებას კი იწვევს ქურთული სახელმწიფოს შექმნის შემთხვევაში „დომინოს პრინციპის“ ამოქმედება, რაც კიდევ უფრო დაამძიმებს ვითარებას რეგიონში, რომელშიც, ალბათ, მსოფლიოში ყველაზე მეტი გადაუწყვეტელი პრობლემაა დაგროვილი.

## Distribution of Kurdish population



ახლო აღმოსავლეთში ქურთების განსახლების რუკა. წყარო: <http://www.abc.net.au/news/2015-09-10/kurdish-map/6763626>

## საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი

არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით.

